



## **თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი სწავლის პერიოდში მიღებული განათლების (ECTS კრედიტების) აღიარების წესი**

### **I. ზოგადი დებულებანი**

1. ეს წესი არეგულირებს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან (შემდგომში: პირველადი უსდ) მობილობის/აღდგენის მსურველი პირის, ასევე თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში: უნივერსიტეტი) შიდა მობილობის მსურველი/მოდიფიცირებულ პროგრამაზე გადაყვანის მსურველი პირის, ასევე სხვა საგანმანათლებლო პროგრამის (უცხო ქვეყნის კანონმდებლობით აკრედიტებული ან აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პროგრამები, არაკრედიტებულ რეჟიმში გავლილი საგანმანათლებლო პროგრამები) ფარგლებში დაგროვებული კრედიტების თავსებადობის განსაზღვრისა და შესაბამისი კრედიტების აღიარების პრინციპებს (**აკადემიური და წარმომადგენლობითი სენატის დადგენილება #83 18.06.2018**);
2. თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტში სასწავლო კურსების კრედიტების აღიარება ხდება სტუდენტის მიერ შესწავლილი საგნების სილაბუსების (სწავლის მიზნებისა და შედეგების შესაბამისი დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციების) ანალიზის საფუძველზე, „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის #3 ბრძანებით ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად;
3. აღიარებას ექვემდებარება იმ პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტები, რომელზე ჩარიცხვა და სწავლება განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით;
4. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტები, რომელთა საფუძველზეც განხორციელდა კვალიფიკაციის მინიჭება, არ შეიძლება აღიარებულ იქნეს სხვა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისთვის, გარდა დიპლომირებული სპეციალისტის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტების ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისთვის აღიარებისა;
5. კრედიტების აღიარება ფორმდება შესაბამისი დასკვნით სკოლის დეკანის მიერ. აღიარებასთან დაკავშირებულ პროცედურაში ჩართულები არიან ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახური, სკოლის დარგობრივი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალი და პროგრამის ხელმძღვანელები.

### **II. კრედიტების აღიარების რეგულაციები**

1. თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტში საქართველოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან მობილობის ფარგლებში გადმოსული/აღდგენილი/მობილობის მსურველი/ მოდიფიცირებულ პროგრამაზე გადაყვანის მსურველი სტუდენტის კრედიტების აღიარება ექვემდებარება შემდეგ პრინციპებს (**აკადემიური და წარმომადგენლობითი სენატის დადგენილება #83 18.06.2018**):
  - ა) ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ საკრედიტო სისტემასთან (ECTS) შესაბამისობა;
  - ბ) სტუდენტის მიერ არჩეულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან შესაბამისობა და თავსებადობა;

გ) საუნივერსიტეტო კურიკულუმთან შესაბამისობა და თავსებადობა (ეს ეხება ე. წ. თავისუფალ კრედიტებს).

2. მობილობის მსურველი სტუდენტებისათვის აღიარებას ექვემდებარება ე.წ. საუნივერსიტეტო, სასკოლო საგნების კრედიტები და სტუდენტის მიერ არჩეული საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტები, ე.წ. თავისუფალი კრედიტები, აგრეთვე დამატებითი (minor) სპეციალობის კრედიტები; შინაარსობრივი შესწავლის შედეგად დგინდება სტუდენტის მიერ პირველად უსდ-ში გავლილი და სასურველი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შესაბამისობა, მათ სახელწოდებებში არსებული სხვაობის მიუხედავად;

3. თუ სტუდენტის მიერ პირველად უსდ-ში გავლილი სასწავლო კურსის დასახელება არ ემთხვევა ახალი პროგრამის კურსის დასახელებას, დასაშვებია ზოგადი ხასიათის საგნის აღიარება, როგორც შესავალი შესაბამის მიმართულებაში, ხოლო სპეციფიკური საგნების აღიარება შეიძლება მოხდეს კურიკულუმის საგნებთან თემატური შეთავსების საფუძველზე;

4. დასაშვებია სტუდენტის მიერ გავლილი იმ სასწავლო კურსის აღიარება, რომელიც არ არის გათვალისწინებული სასურველი საგანმანათლებლო პროგრამით, ასეთ შემთხვევებში განვლილი კურსი შესაძლებელია აღიარებული იქნეს, როგორც ე.წ. თავისუფალი არჩევითი კურსი (იმ შემთხვევაში, თუ ახალი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული არჩევითი კურსები);

5. თუ მობილობის მსურველ სტუდენტს ათვისებული აქვს დამატებითი (minor) სპეციალობა სრულად (60 კრედიტი), პროგრამა შესაძლებელია აღიარებულ იქნას იმ შემთხვევაშიც, თუ უნივერსიტეტში დამატებითი პროგრამის ანალოგი არ არსებობს და გაიწერება დიპლომის დანართში;

6. თუ მობილობის მსურველ სტუდენტს ათვისებული აქვს დამატებითი (minor) სპეციალობა არასრულად, სტუდენტს ეძლევა რეკომენდაცია, თუ რომელ დამატებით სპეციალობას შეესაბამება მის მიერ განვლილი პროგრამის ნაწილისა და თავისუფალი კრედიტების კონცენტრაცია;

7. თუ ე.წ. თავისუფალი კრედიტების რაოდენობა ასაღიარებელ კრედიტების რაოდენობაზე მეტია, დეკანატი ამ კურსებიდან, სტუდენტთან შეთანხმებით, ირჩევს იმ სასწავლო კურსებს, რომლებშიც სტუდენტს ყველაზე მაღალი შეფასება აქვს, იმ შემთხვევაში თუ სტუდენტს სურს, რომ მის მიერ შესწავლილი ყველა თავისუფალი სასწავლო კურსი განერილი იყოს დიპლომის დანართში, აღიარებულ იქნება უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული თავისუფალი კურსების ნორმირებული რაოდენობა, ხოლო დანარჩენი ყველა სასწავლო კურსი პირობითად იქნება აღიარებული, ანუ კრედიტების საერთო რაოდენობის განმსაზღვრელი არ იქნება და ჩაიწერება დიპლომის დანართში;

8. შიდა მობილობის შემთხვევაში სტუდენტის მიერ გავლილი სპეციალობის კურსი შესაძლებელია აღიარებული იქნეს როგორც ე.წ. თავისუფალი არჩევითი კურსი; თუ სტუდენტის მიერ გავლილი და/ან აღიარებული თავისუფალი კრედიტების რაოდენობა უტოლდება პროგრამის სტრუქტურით გათვალისწინებული თავისუფალი კრედიტების რაოდენობას, სტუდენტი აღარაა ვალდებული სწავლის შემდგომ პერიოდში შეისწავლოს თავისუფალი საგნები. სასწავლო გეგმით გათვალისწინებული თავისუფალი კურსების დატვირთვის დროში სტუდენტს შესაძლებლობა ეძლევა მოისმინოს დეკანის დასკვნის მიხედვით განერილი დამატებითი კრედიტები (არსებობის შემთხვევაში), და/ან ეს დრო დაუთმოს ძირითადი საგნების შესწავლას;

9. ზოგადად, თუ სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსის დასახელება ან/და შინაარსი ემთხვევა უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კურსის დასახელებას ან/და შინაარსს, ხდება კრედიტის აღიარება სტუდენტის ინტერესების გათვალისწინებით (მაგ. თუ სტუდენტის მიერ პირველად უსდ-ში შესწავლილი საგნის ანალოგიურ საგანს მიმღებ პროგრამაში ნაკლები კრედიტი აქვს მინიჭებული, მაშინ აღიარებული იქნება პირველად უსდ-ში მოპოვებული კრედიტი, ხოლო თუ მიმღებ პროგრამაში ანალოგიურ საგანს მეტი კრედიტი აქვს მინიჭებული, შესაძლებელია აღიარებულ იქნას მიმღები პროგრამის კრედიტის ოდენობით, თუ შესწავლილი საგნის სწავლის შედეგები იძლევა ამის შესაძლებლობას).

10. უცხო ქვეყნის კანონმდებლობით აკრედიტებული ან აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პროგრამებით და არაკრედიტებულ რეჟიმში გავლილი საგანმანათლებლო პროგრამებით განსაზღვრული სასწავლო კურსების კრედიტების აღიარება ხდება მიმღებ პროგრამაში მათი თავსებადი საგნებისათვის მინიჭებული კრედიტების ოდენობის შესაბამისად. (აკადემიური და წარმომადგენლობითი სენატის დადგენილება #32 20.01.2014)

11. **ახალ, მოდიფიცირებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტის გადაყვანის შემთხვევაში, სტუდენტის მიერ** გავლილი საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო კურსების კრედიტების აღიარება ხდება **სტუდენტის ინტერესების გათვალისწინებით: „მეტი კრედიტის ჩათვლის“ პრინციპით** (აკადემიური და წარმომადგენლობითი სენატის დადგენილება #83 18.06.2018)

**III. ECTS საკრედიტო სისტემისგან განსხვავებული შეფასებების აღიარება:**

1. თუ მობილობის მსურველი სტუდენტის პირველადი უსდ იყენებს განსხვავებულ საკრედიტო სისტემას, მაშინ სტუდენტი ვალდებულია წარმოადგინოს პირველადი სასწავლებლის მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტი, რომელშიც მიეთითება ამ სისტემის შესაბამისობა ECTS სისტემასთან;

2. თუ მობილობის მსურველი სტუდენტის პირველად სასწავლებელს არ გააჩნია ECTS საკრედიტო სისტემა, ან სასწავლო კურსი სტუდენტმა ჩააბარა ახალი სისტემის შემოღებამდე, სტუდენტი ვალდებულია წარმოადგინოს სასწავლო ბარათი, სადაც მითითებული იქნება სტუდენტის მიერ შესწავლილი კურსის მოცულობა აკადემიურ საათებში. აღნიშნული კურსებისთვის კრედიტების მინიჭება ხდება პირობითად, მიენიჭება კრედიტების ის რაოდენობა, რაც უნივერსიტეტში საკონტაქტო საათების მიხედვით ანალოგიური მოცულობის სხვა სასწავლო კურსებს აქვთ. კრედიტების აღიარება ხორციელდება საკონტაქტო საათების მიხედვით შემდეგი წესით;

30-60 სთ.	5 კრედიტი
61-120 სთ	10 კრედიტი
121-180 სთ	15 კრედიტი
181-240 სთ	20 კრედიტი

3. აღდგენილი სტუდენტების შეფასების 5 ბალიანი სისტემის 100 ქულიან სისტემაზე პირობითი გადაყვანა ხდება შემდეგი პრინციპის შესაბამისად:

<b>ფრიადი (5)</b>	<b>91 ქულა</b>	<b>A</b>
<b>კარგი (4)</b>	<b>80 ქულა</b>	<b>B</b>
<b>დამაკმაყოფილებელი (3)</b>	<b>60 ქულა</b>	<b>E</b>

ხოლო მხოლოდ სიტყვიერი შეფასების შკალა მოცემული ამ შემთხვევაში კონვერტაცია (100 ქულიან სისტემაზე პირობითი გადაყვანა) დადგინდეს შემდეგი პრინციპით

<b>ფრიადი</b>	<b>91 ქულა</b>	<b>A</b>
<b>ძალიან კარგი</b>	<b>81 ქულა</b>	<b>B</b>
<b>კარგი</b>	<b>71</b>	<b>C</b>
<b>დამაკმაყოფილებელი/საშუალო</b>	<b>61 ქულა</b>	<b>D</b>
<b>საკმარისი/დამაკმაყოფილებელი</b>	<b>51</b>	<b>E</b>

4. თუ სტუდენტს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებად რომელიმე საგანში მიღებული აქვს ე.წ . „დიფერენცირებული ჩათვლა“, მაშინ მისი აღიარება ხდება შესაბამისად 5 ბალიანი სისტემიდან 100 ქულიან სისტემაზე პირობითად გადაყვანის პრინციპის

შესაბამისად; ე.წ. „ჩათვლის“ აღიარება ხდება ქულის პირობითი მინიჭების შესაბამისად: სტუდენტის მიერ ყველა საგანში მიღებული ქულების საშუალო არითმეტიკული დამრგვალება მთელ რიცხვამდე.

**IV. რეკომენდებული სასწავლო სემესტრი**

1. აღიარებული კრედიტების რ-ბის მიხედვით სტუდენტი სწავლას განაგრძობს ქვემოთ მოყვანილი შესაბამისობით, სათანადო სემესტრის სტუდენტად:

აღიარებული კრედიტების რაოდენობა	შესაბამისი სემესტრი
15 კრედიტამდე	I სემესტრიდან
16-45 კრედიტი	II სემესტრიდან
46-75 კრედიტი	III სემესტრიდან
76-105 კრედიტი	IV სემესტრიდან
106-135 კრედიტი	V სემესტრიდან
136-165 კრედიტი	VI სემესტრიდან
166-195 კრედიტი	VII სემესტრიდან
196 კრედიტიდან	VIII სემესტრიდან

1. სემესტრის განსაზღვრისას, სკოლის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნას არა მხოლოდ კრედიტების რაოდენობა, არამედ ის სასწავლო კურსებიც, რომლებიც ახალ კურიკულუმში სავალდებულოა, მაგრამ მობილობის მსურველ სტუდენტს გავლილი ან აღიარებული არა აქვს;

2. საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკიდან, კურიკულუმის შემადგენელი სასწავლო კურსების წინაპირობებიდან და მათი გამოცხადების გრაფიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია სტუდენტს დასჭირდეს დამატებითი სემესტრის (სემესტრების) გავლა, რაც სტუდენტს ეცნობება წინასწარ.

3. სტუდენტის მიერ გავლილი პროგრამის აღიარებისას მოქმედ საბაკალარო პროგრამასთან თავსებად საგნებში მიღებული შეფასებები რჩება უცვლელი.

4. ნულოვანი შესაბამისობა პირის მიერ გავლილი პროგრამისა და უნივერსიტეტის პროგრამას შორის არ ართმევს ამ პირს უფლებას ჩაირიცხოს მიმღებ დანესებულებაში. ასეთ შემთხვევაში იგი ვალდებულია სრულად გაიაროს უნივერსიტეტის შესაბამისი პროგრამა.